



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-87. 8723186001  
თარიღი:05/07/2023

**განკარგულება №20**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 777 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 ივლისის №20 განკარგულებით საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცებული, ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობისა და მასზე დამაგრებული 777კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (ს/კ 50.04.42.086):

ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური - **39500** (ოცდაცხრამეტიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

ბ) „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30%-ის - 11850 (თერთმეტიათას რვაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

გ) ელექტრონული აუქციონის ბიჯის ოდენობა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ის - 3950 ლარის ოდენობით.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41)

იოსები ქარუმაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს

